ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01252654437**
თარიღი: **22/09/2025**

ადრესატი: შპს ლიტ ჯეო ინვესტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 243859749
მისამართი: თბილისი, ცოტნე დადიანის ქ., №7ბ კორპ. №1, კომერციული ფართი №1(მშენებარე), ბლოკი "ც"

თქვენი 2025 წლის 27 აგვისტოს №12-01252391204-61 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში: **სააგენტო**) არ არის წინააღმდეგი სააგენტოსა და შპს „ლიტ ჯე ო ინვესტს“ (ს.ნ.: 243859749; შემდგომში: **მყიდველი**) შორის 2024 წლის 02 აპრილს გაფორმებული „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების (შემდგომში: **ხელშეკრულება**) საფუძველზე, საპრივატიზებო ქონების ნაწილზე, კერძოდ, №01.19.20.025.118 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში მიმდინარე №AR11071704 წარმოების ფარგლებში წარდგენილი ვადებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაიცეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა.

ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, გაცნობებთ, რომ წინამდებარე თანხმობა არ ცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე პირობას ან ვადას.

ამასთან, 2025 წლის 19 აგვისტოს წარმოდგენილი №10/0125231990-01 კორესპონდენციის პასუხად გაცნობებთ, რომ ხელშეკრულება ავტოსადგომებთან დაკავშირებით რაიმე პირობას არ ითვალისწინებს.

პატივისცემით,

გიორგი კობიაშვილი

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი